შიკრიკი

ქუთაისი

ორშაბათი, 19 ივლისი

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპიკი.

ჯალათებმა გუშინწინ ჩვენი საუკეთესო ამხანაგი რიჟინაშვილი მოკლეს.—ხმები ლეოვის, სტახოვიჩის და ფეიდენის სამინისტროში შეგლაბუდ მაინც ოდენა.—სხვა და სხვა რუსეთის ქალაქებში ბევ-ოლიუციონური ვნით დეპუტატთა მანიფესტის მეტ-დვა გრძელდება.—რევოლიუციონერთა ჭერა და დევნა გახშირდა.—ავრარული მოძრაობა ცეცხლის ალივით მოედო რუსეთის გლეხ-კაცობას.

№ 9. ყოველ-დღიური გაზეთი № 9.

1906 წლის 9 ივლისიდან გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„შიკრიკი“

გაზეთის ფასი: 1 წლით 3 მ., 6 თვით 2 მ., 3 თვით 1 მ., ცალკე № 3 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერზე პწკარი პეტიტით 15 კ. მეოთხეზე—10 კ.

რედაქცია მოთავსებულია ბალაჩვანის ქუჩაზედ, ალ. მხეიძის სახლებში № 5.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ редакція „Шикрики“

განცხადება.

30 სექტემბერს წასრულ წელში დავკარგე

ჩემოდანი

„გრანდ-ოტელის სასტუმროდან, რომელშიდაც იყო შემდეგი ჩემთვის საჭირო ქაღალდები:

ამხანაგობა „ბეოლგია-“ს ხელშეკრულობა, პირობები და კანტრაკტები, კვიტანციები, ნიუირკის საზოგადოების პოლისი და პრემიის კვიტანციები, 2 ბილეთი საწვევრო ფულისა ბათუმის და თბილისის ბანკებისა, 1 პაი კოლხიდის ამხანაგობისა, რამდენიმე ხელნაწერი ჩემი თხზულებისა ოსმალეთის ცხოვრებიდან და ვექსილები. როგორც ამ ჟამად ვიცი, ის ჩემოდანი მეორე დღესვე უნახავს ვიღაც პატიოსან კაცს გაჭრილი, გაუსინჯავს და ყველა ეს ქაღალდები უპოვნია, ამოუღია მხოლოდ ვექსილები და ჩემოდანი კი საბაევისა და ლალიძის დუქნებს შვა ბულვარის პირდაპირ დაუგდია როგორც სჩანს შეშინებია, ვექსილები კი მე გამომიგზანა. ამისთვის ვსთხოვ იმ ჩემოდანის მპოვნელს: მომიტანოს ზემოდ მოხსენებული ქაღალდები, რომელიც მისთვის არაფრად ღირს და აუ ყველას მომიტანს ათ თუმანს საჩუქარს მივართმევ. თუ ყველა აღარ ჰქონდეს და მხოლოდ სამი ნაჭერი: ამხანაგობის ხელშეკრულობა ჩემი ხელშეკრულობა და ჩემი ხელნაწერები—ესენი მომიტანოს და ორმოცდაათ მანთს მივართმევ.

ჩემი ადრესი. **მიტროფანე ლალიძესთან იასე რაჭველს.** 4—1

ქ. ქუთაისში

20 იგლისიდან ქალაქის ბაღში (ბულვარში)

იხსნება ვ. გადილიას

წიგნის მაღაზიის

განყოფილება

შეიძლება შეძენა ყველა თანამედროვე რუსული და ქართული წიგნებისა.

ბ ა თ უ მ შ ი

სიკვდილის შემთხვევის დროს საურთ.-დამზღვევი საზოგადოების ვექილი

ვერასიმე ლუკ. კვერგელიძე

იმყოფება პეტერბურგისა და მორსკოვის ქუჩების ყურეში, სადაც მსურველთ შეუძლიათ მიმართონ დასაზღვევად.

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების

კანტორა

ი მ ე დ ი

ქალ. ოზურგეთში.

ღებულობს: 1) ხელის-მოწერას მთელი მაზრისათვის ყველა ადგილობრივ და სატახტო ქალაქების პროგრესიულ ჟურნალ-გაზეთებზე. 2) გაზეთებში დასასტამბათ განცხადებებს კერძო პირებისა და დაწესებულებებისაგან; 3) წიგნებს საკომისიოთ და 4) ყიდის ცალკე ნომრებით გაზეთებს იმ ფასებში, რაც ზედ აწერია.

ივ. ლლონტი.

ქუთაისი, 19 ივლისი.

ორშაბათს საღამოს ქუთაისის ჯალათებმა ისახელეს თავი: ამხ. რიჟინაშვილი (იცკა) მოგვიკლეს ქუჩაში. აქამდის ქუჩებში რევოლიუციონერების კვლა კაზაკების პრივილეგიათ იყო გამხთარი, ახლა პრისტავებსა და გოროდოვოებს ჩანს კაზაკებისთვის ეს ხელობა შეშურებია და მათ მოცილეობას უწევენ. ჯალათების რიცხვს ემატება. ალიხანოვის შემდეგ ეს პირველი მაგალითია; უნდა ვიფიქროთ, ამხანაგი იცკას მოკვლა მხოლოთ დასაწყისია. ამას მოყვება მეორე, მესამე და ვინ იცის კიდევ რამდენი... რისთვის მოგვიკლეს ამხანაგი იცკა? რისთვის გამოაკლეს საზოგადოებას ახალგაზდა კაცი, ენერგიით სავსე, გულწრფელი მოღვაწე, თავდავიწყებამდის მინდობილი პროლეტარიატის საქმის სამსახურისადმი? რისთვის მოკლეს დღით? სად მირბოდა, რას შვრებოდა? შეიძლება ვინმემ იფიქროს იცკა ვაჟკაცი იყო, მარჯვე, ღონიერი და შეება რომელიმე გოროდოვოის. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მისი გამხდარი სიცოცხლით სავსე სახე, რომელზეც ხორცის ნასახი თითქმის არ იყო, ვისაც მისი ტანი, უკეთ რომ ვთქვათ, ჩონჩხი ერთხელ მაინც დაუნახია, იმის გამკლავება ჯალათებთან ყოვლად შეუძლებელი იყო. ტყუილათ დაუწყებენ რწმუნებას ჯალათები საზოგადოებას, თითქოს იცკას გაქცევა მოენდომებინოს, ვისმეს ის გამკლავებოდეს და მიზეზი ეს იყოს მისი მოკვლისა. ამას არავინ დაიჯერებს, ამას არავინ ერწმუნება. მიზეზი სულ სხვაა. კავკასიის პროლეტარიატი და გლეხობა კარგა ხანია, რაც მეფის მთავრობას მოსვენებას არ აძლევს, კარგა ხანია მას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა; ისინი შეერთებული მტერნი გახთენ ჯალათების. პროლეტარიატის წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს ამ ბრძოლას; სოციალ-დემოკრატიამ თავის უმახლობელეს მიზნათ გაიხადა ფეოდალური წესწყობილების სრული მოსპობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამკვიდრება, რათა პროლეტარიატს ჰქონდეს უკეთესი პირობები კაპიტალისტური წესწყობილების მოსასპობათ და მის ადგილას სოციალიზმის გასამეფებლათ. აი, რა მიზანი ჰქონდა იცკას, აი რას ემსახურებოდა ის; მან კიდევ სასწავლებელში მიყო ხელი მუშაობას; მიზეზი მისი სასწავლებიდან დათხოვნის სწორედ ეს გახთა. იცკა არ აძლევს მოსვენებას სასკოლო სკამიდან მეფის მთავრობას, არ აძლევს მას მოსვენებას ცხოვრებაში; პროლეტარიატში, გლეხებში, ჯარში ყოველგან შეაქვს თვითცნობიერების შუქი, ყველგან იღებს მხურვალე მონაწილეობას. როდესაც მეფის ჯალათები ერთ ადგილას აღარ აძლევენ ცხოვრების საშუალებას, ის მეორე ადგილას მიდის, მეორე ადგილიდან მესამეს და ასე ბოლომდის. ალბათ ამან მოუკლა გული მეფის მთავრობას, ამან გამოიყვანა ის მოთმინებიდან და ბოლოს ტყვიით გაუგმირა მას გული. ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო ამხანაგი იცკა. ის შთამამავლობით იყო ებრაელი, მრავალტანჯული ერის შვილი. ქუთაისის ებრაელებში ჩვენ მხოლოთ ის გვყავდა ამხანაგათ. რუსეთში ებრაელები მთავრობის თვალში ყველა რევოლიუციონერებია. რუსეთ-იაპონიის ომი მეფის მთავრობის შეხედულობით ებრაელებისგან იყო გამოწვეული, რუსეთის რევოლიუციას ებრაელები ახდენენ, არწმუნებს ქვეყანას კამარილია. რადგანაც ბოროტების ფესვი ნანახია, საჭიროა მისი ამოფხვრა, საჭიროა მისი განადგურება. კიდეც მიჰყვეს ხელი მათ განადგურებას. ჯალათმა პლევემ დაიწყო რუსეთში ებრაელების „პაგრომის“ საქმის მოწყობა და მას აქეთ ეს სისტემათ გადაიქცა, პირველათ კიშინოვში იყო; კიშინოვს გომელი მიყვა, გომელს ოდესა, ოდესას ბელოსტოკი და ასე გძელდება ბოლომდის. დღეს ამაში ეჭვი არავის შეაქვს, რომ „პაგრომების“ მომწყობი თვით მთავრობაა. ამიტომაც არის იცკას, შთამომავლობით ებრაელს განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციეს, მოსპეს ერთათ ერთი რევოლიუციონერი ებრაელებში, ფიქრობენ ამით რევოლიუციის მოსპობას. ჯალათებო! 17 ივლის თქვენ მოკალით ამხანაგი იცკა, ხვალ თქვენ მოკლავთ მეორეს, ზეგ მესამეს... თქვენ შეგიძლიათ ამ რიგათ რამდენიმე ათი და ასი კაცი მოკლათ; ამისათვის თქვენ საშუალება მოგენახებათ, ამისათვის საკმაო ძალა შეგწევთ, მაგრამ როდემდის გსურთ იბანოთ ხელი უმანკო სისხლში, როდემდის გნებავთ თარეშობა, როდემდის გნებავთ ხალხის სისხლით ისაზრდოოთ? როდის გაძღებით? არა, თქვენ ამაზე პასუხს ვერ მოგვცემთ; თქვენ თავის დღეში ვერ გაძღებით ჩვენი ამხანაგების სისხლით. თქვენ სულ ახალ-ახალი სისხლი გწყურიათ. ბოლო მოეღება თქვენს საზიზღარ ცხოვრებას მხოლოთ მაშინ, როდესაც ხალხი ხმამაღლა შემოგძახებთ: „კმარა ჯალათებო!“ „კმარა ამდენი ჩვენი შვილების სისხლი; იკმარეთ ამდენი მსხვერპლი!“ თქვენ მაშინ მუხლმოდრეკით ხალხს პატიებას სთხოვთ, მაგრამ გვიან იქნება, ის შურს იძიებს.

ამხ. იცკას ხსოვნას.

გუშინწინ ჯალათის ხელმა გამოასალმა წუთი სოფელს ჯერ კიდევ ახალგაზდა 20-21 წ. მებრძოლი აბრამ რიჟინაშვილი იცკა (ამ სახელს უწოდებდით მას ამხანაგები). ის არ იყო ზოგიერთებივით მყვირალა, რისთვისაც მის მოლვაწეობას არ იცნობდენ ბევრი, მაგრამ სამაგიეროთ კარგად იცნობს მას მისი ამხანაგები. იცკა ჯერ კიდევ რეალურ სასწავლებელში იყო, როდესაც თავი ისახელა მოსწავლეთა გაფიცვის დროს, როგორც ამ გაფიცვის ერთი ხელმძღვანელთაგანი. მისი ასეთი საქციელი, რასაკვირველია არ მოეწონა „აღმზრდელ მამებს“ და მას დაუყონებლივ გამოუძახეს სკოლიდგან. მაგრამ მეტად ნიჭიერი და მხნე იცკა არ დაეცა სულით და გულით: ის გაემგზავრა გერმანიაში და ერთ წელზე ცოტა ნაკლები დაყო ლეიპციგის უნივერსიტეტში. 1904 წ. დასაწყისში ის დაბრუნდა თავის სამშობლო ქალაქში—ქუთაისში და გულმოდგინეთ იწყო მუშაობა რ. ს. დ. მ. პ.-ის ხელმძღვანე-

ლობის ქვეშ. მას შემდეგ ამხ. იცკა დაუღალავად მუშაობდა უკანასკნელ სულის ამოხდამდე.

აი, ეს დაუღალავი მუშაკი, თავდადებული მებრძოლი გამოასალმეს გუშინწინ წუთი-სოფელს ქუთაისის ჯალათებმა. თუმცა ის მოკვდა, მაგრამ მისი ხსოვნა საუკუნოდ დარჩება მისი ამხანაგების და პროლეტარიატის გულში; მისი ამხანაგები არ დაივიწყებენ ყველასათვის უწყინარ და ენერგიით სავსე იცკას და მისი პატივისაცემლად უფრო მეტის ენერგიით და მხნეობით განაგრძობენ იმ დიად იდეის საქმეს, რომელსაც ის ემსახურებოდა.

იცკა, ამხანაგებო, სახელოვნად მოკვდა სახელოვან „პოსტზე“ ჯალათების ხელიდგან. ჩვენი მოვალეობაა დავიმახსოვროთ ეს საზიზღარი მკვლელობა და პირველ შემთხვევისთანავე მზად ვიყოთ სამაგიერო მიუზღოთ უდანაშაულო სისხლის დამღვრელთ.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო ამხანაგო, იცკა!..

ი. ჭ.—ნიძე.

ამხ. რიჟინაშვილის ხსოვნას!

კიდევ ერთი მსხვერპლი! კიდევ ჯალათთა მიერ დანთხეული სისხლი ოევოლიუციონეოისა. ქუთაისში გუშინწინ გულ-მკერდი გაუპეს ჯალათებმა ჩვენს საუკეთესო ამხანაგ იცკას! მოგვიკლეს ენა-მახვილი, გონებით გამჭრიახი, ჯერ სიცოცხლით სავსე ყმაწვილი. მოგვიკლეს იცკა რევოლიუციენერი, უსამართლობის წინააღმდეგ გააფთრებული მებრძოლი! მოგვიკლეს მუშა ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი! ამხ ნაგო! გული გაგიგმირეს, შენ, ჯალათებმა ტყვიით, უდროოთ მოგისწრაფენ სიცოცხლე, მოგკლეს შენ ჯალათებმა, მაგრამ იდეია, რომელსაც შენ ემსახურებოდი არ მომკვდარა. შენი დათესილი მარცვალი ნაყოფს იღებს,—„იდეია გაიმარჯვებს!“ მონობის ბორკილი მაშვრალთ ხელებზე შემოჯაჭული დაიმსხვრევა და მაშინ იცოდე შენ სისხლს მუშა ხალხი მტარვალთ არ შეარჩენს.. არ გტირი მეგობარო, რევოლიუციონერს ტირილი არ შეშვენის, მხოლოდ შენს ჯალათურ სიკვდილს მტკიცეთ აღვიბეჭდავთ გულის ფიცარზე მტარვალთა წინააღმდეგ შურის საძიებლად.

ილია ბახტაძე.

უდანაშაულოდ დასჯილნი.

დიდებული რუსეთის რევოლიუციის ტალღებმა გამოაღვიძა და თან ჩაიყოლია ყოველი რიგიანი და გონიერი წევრი საზოგადოებისა, გარდა, რა აკვირველია, ქინდრიან ბიუროკრატებისა და ბურჟუასი, რომლებსაც „დაბალ“ ხალხის თავისუფალი სულის თქმა თავის სახრჩობელად და ბნელ სამარეთ მიაჩნია.

ამავე რევოლიუციამ და შემდეგ რეაქციამ ჩვენ და საზოგადოდ ხალხს ნათლათ დაანახვა მისი შინაური მტერიც და მოყვარეც, ხელში ჩაუგდო იარაღი, რომლის საშვალებით ის გმირულ იერიშს მიიტანს მტერზე და საუკუნოთ ბოლოს მოუღებს მის თარეშობას—ეს უეჭველი ჭეშმარიტებაა და წმინდათა წმინდა სალოცავი ყველა იმის, ვისაც გული შესტკივა უვიცობით დამონებულ თანამოძმეზედ.

სიბნელის ქერქ ქვეშ მყოფ ხალხს შინაური მტერი რევოლიუციამ და რეაქციამ გამოგვიჩინა იმ წრეებში, რომლებიც უვიც ხალხს მფარველად და მოყვრად მიაჩდა და რომლებიც მართლა ამ ნაირი უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც მთელი მათი არსება დამოკიდებული იყო და ჯერ დღესაც არის მუშა ხალხის მკლავზედ და მათ შეუშრობელ ოფლზედ. მტრების ავანგარდის პირველ წყებას, წინამძღოლს ბევრს სოფლებში შეადგენენ წარმომადგენელნი (ჯერ ყველაზედ ეს არ ითქმის) წმინდა მოციქულებთა მოადგილე—სამღვდელოებათა მაღალკეთილ შობილნი და ბრწყინვალენი.

რევოლიუციის პირველ მეხმა იმათ თავზარი დასცა, გონება დაუბნია, იმათ ხელები გაუწვდინეს ყოველ შემძლებელ მართებლობას, მაგრამ როდესაც ისინიც დაბნეული შეიქნენ—მიეკედლენ ხალხს, რომელმაც ისინი თავის უვიცობით იძმო, ის მას ენდობოდა როგორც კრავი მელიას, როგორც გამოუცდელი დემაგოგიურ ვარჯიშობაში.

ეს „წარჩინებული“ ხალხის კეთილ შეძენილი „ძმები“ ხალხთან ერთათ გააძახოდნენ: „ამხანაგებო, ერთობა, გაუმალჯოს პროლეტარებს“ და პირში კი კბილებს კბილებზედ იმტვრევდნენ, შურით სული ეხუთებოდათ და ყოველი ნაყოფიერი იერიში ხალხისა, ახალი მათი პოზიციები მათ გულს უკლავდა, მაგრამ ხალხი ამას ხომ ვერ შეატყობდა, სანამდი თავის თვალით არ დაინახავდა იმას, თუ რა იმალებოდა ნაძალადევად სხვის სამოსელში გახვეულ „ძმაში“. ეს დაანახვა მხოლოდ ალიხანოვის, ან უკეთ ვთქვათ, ვიტტე-დურნოვოს ცეცხლმა და მახვილმა, რომლის ალში და სისხლში იხრჩობოდა. ამ რეაქციამ ფრთა შეასხა „უფროს“ ძმებს“ იმათ ზურგი აქციეს „თვითპყრობელობის“ მტერს ხალხს და სწორეთ ღირსეული უნარი გამოიჩინეს პროვოკატორობაში: მათი წყალობით არა ერთი გლეხის ოჯახი გადაბუგეს, ქალები გააუპატიურეს, არა ერთს ციხეში თავი ამოაყოფინეს და ცივ ქვეყნებში გაისტუმრეს... „ბრწყინვალე პირთა მოქმედების სურათებს ჩვენ მუდამ დღე ვკითხულობთ გაზეთებში და აი ერთიც ოდიშის (სამეგრელოს) ცხოვრებიდგან. სოფ. ნაქალაქევში (სენაკის მაზრაშია) სახლობენ თავადები-დადიანები (ერთი იმათაგანი უმაღლეს სასწავლებელშია). ზოგიერთ იმათ წარმომადგენელთა მოქმედებამ საისტორიო ჩირქი მოცხო დანარჩენ შეგნებულ მათ ამხანაგებს: თავად ჰ. დ. კ. მეოხებით ამ წლის მარტიდგან სატუსაღოში იხრჩობიან გლეხები კ. სანგია, კ. ხურცილავა, ბალათური, აზნაური ლ. გაგუა და თავადი შალ. დადიანი. ბალათურიას, გაგუას და დადიანს ჯერ ოჯახები გადაუწვენ, ცოლშვილი ცის ქვეშ დააყრევინენ და შემდეგ სატუსაღოში თავი ამოაყოფინენ. რა დანაშაულობა მიუძღვის ამ მსხვერპლთ ზემოხსენებულ თავადებთან? ის, რაც მე მიმიძღვის ჩინეთის იმპერატორთან, ის რაც მთელ რუსეთის ხალხს მიუძღვის განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს. ამ პირებმა, როგორც დაბეჩავებულებმა, სხვაზე ადრე იგრძნენ გამაცოცხლებელი სითბო თავისუფლების სხივებისა და თუმცალა შესამჩნევი აქტიური მონაწილეობა არც კი მიუღიათ მოძრაობის დროს (ზოგი მხოლოდ იღვიძებდა) მაგრამ ჰ. დ. კ. დადიანებს სულ სხვა ელანდებოდათ. მათთვინ ზოგი მათ მსხვერპლთაგანი მართლაც არა სამეგობრო ელემენტებს წარმოადგენდენ, რადგანაც საჭიროების დროს ბევრს ცოდვებს გამოამზეურებდნენ, ეხლა კი მათი ბრწყინვალებანი თავისუფალი ბრძანდებიან,—მათს გვერდს არ უდგანან ის 5—6 მსხვერპლი მაგრამ ვაი თუ ბოლოს ისევ ის ოთხი ხუთი ირჩიონ, ვიდრე რისხვა მთელის სოფლისა, იმ სოფლისა, რომელსაც ტვირთად აწევს ობლად დარჩენილი აუარებელი სული სატუსაღოში ტანჯულთა, რომელმაც უკვე დაჰკარგა ყოველი ნდობა თქვენ წინაშე და გიყურებს თქვენ, როგორც მის მტერს. როგორც ხმა ისმის—თქვენ მიერ დატანჯულთა უმეტესობას მოელის გადასახლება, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სოფელი თხოვს გუბერნატორს გაანთავისუფლოს უდანაშაულოდ დასჯილნი. ჩვენ კიდევ იმედი არ გვეკარგება და ვფიქრობთ, რომ ჰ. და კ. და—ბი სხვა და სხვა მიზეზების გამო, მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ დატუსაღებულთა განთავისუფლებაში და ამით მათ შეცდომას გაასწორებენ... ამ „სხვა და სხვა მიზეზებში“ პირველი ადგილი უჭირავს იმას, რომ ხალხი ნდობას დაჰკარგავს იმ თავად აზნაურებზედაც რომლებიც დღეს მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ გლეხებთან ერთად განმათავისუფლებელ მოძრაობაშიდ, ეხმარებიან მათ და ამით თავისუფლების მოპოვებას მოელოდებიან ყოველ ტანჯულთათვის, რწმენა დაეკარგებათ იმათზედაც, ვინც, თუმცალა მონაწილეობას არ ღებულობენ მოძრაობაშიდ, მაგრამ ხელს არ უშლიან არც საქმით, არც ენით და ამისთანა ჯერ ხომ აუარებელია ჩვენს თავად აზნაურობაში.

მგზავრი.

ცოტა რამ ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლებზე.

ამ ერთი წლის წინათ, როდესაც რუსეთის იმპერიის ყოველ კუთხიდან გაისმოდა პროტესტი დახავსებულ ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგ, როდესაც საერთო უკმაყოფილება თან და თან ძლიერდებოდა და საზოგადოების უფრო მეტ და მეტ ნაწილს ითრევდა განმანთავისუფლებელ მოძრაობის ფერხულში, ამ დროს საერთო მოძრაობას არ ჩამორჩენ არც სახალხო მასწავლებლები, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში. ცხოვრებამ ამათაც წაჰკრა მძლავრი მუჯლუგუნი, ძლიერათ ახეთქა აზვირთებული ტალღა და საყოველთაო უკმაყოფილების მოსახანგუგუნისათვის თავის ხმაც მეაერთებინა. მათ ერთხმად დაჰგმეს ხალხ-ალზრდის საქმის არსებული პირობები, რომლებმაც ... ბრძოლაში სკოლა ცოცხალ მანქანათა საწარმოებელ ქარხანად აქცია და სწავლა ალზრდის საქმე დაუქვემდებარეს ათას გვარ ტენდენციოზურ პოლიტიკას, და გადასწყვიტეს არ შევიდენ სკოლაში მანამდე, სანამ არ მოისპობა ყოველდღიურ გულის ამრღვევი და სულის შემაძრწუნებელ მოვლენათა მიზეზები და არ გატარდებიან ცხოვრებაში თავისუფალ ძოქალაქობრივ ცხოვრებათა საფუძველნი. გასულ წლის 24 მაოტიდან დაიწყო ქუთაისის გუბერნიის სასახალხო მასწავლებელთა საერთო გაფიცვა, რომელიც ექვს თვეს გაგრძელდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობამ გაფიცვას მასწავლებლების ადგილებიდან დათხოვნით და ჯამაგირების მოჭრით უპასუხა. მაგრამ მთავრობის ზომებს არ შეუშინდენ მასწავლებლები და იმავ წლის ოქტომბერში მოითხოვეს დათდოვნილ ამხანაგების უკან მიღება და გაფიცულ თვის ჯამაგირების უკან დაბრუნება. იმ დღეებში გამოცხადებულ იქმნა 17 ოქტომბრის მანიფესტი, საზოგადოებრივ მოძრაობას ფარული, თავისუფალი ასპარეზი გაეხსნა სამოქმედოთ, ხალხმა ჯეროვანი ძალა და გავლენა მოიპოვა, ყველა რეაქციონური ელემენტები სოროში შეძვრენ, ყველანი მუხლს იდრეკდენ ძველა-მოსილ ხალხის წინაშე.. სამოსწავლო მთავრობამაც აღუთქვა მასწავლებლებს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რის სისრულეში მოყვანა მან შესძლო ათას გვარ ხრიკებით სხვა დროისთვის გადაედო. 17 ოქტომბრის შემდეგ დადგა დრო შემოქმედებით შრომისა, სახალხო სკოლებიც ერთბაშათ ჩამოშორდენ და განთავისუფლდენ მთავრობის კანტროლისაგა; მასწავლებლებიც შეუდგენ მის (სკოლის) ცხოვრებაში რადიკალურ-დემოკრატიულ რეფორმების გატარებას. ამ მხრით ფრიად საყურადღებო არის გურიის სახალხო მასწავლებლებ „სიეზდი“, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის იანვრის პირველ რიცხვებში. ეს სიეზდი გაგრძელდა 7 დღეს და მასში იღებდენ მონაწილეობას ადგილობრივ მასწავლებელთა საუკეთესო ძალები. სიეზდმა შეიმუშავა, წესდება, გადასინჯა „ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის“ მიერ შედგენილი სამოსწავლო პროგრამა და მიიღო ის ცოტა ცვლილებით; დაჰყო მასწავლებლები მომზადების და მიხედვით კატეგორიებათ, აირჩია სამაზრო საბჭო და ცენტრალური აღმასრულებელი ბიურო; აირჩია თავისი რევიზორები და ეზადებოდა შემუშავებულ გეგმის თანახმად სკოლებში მეკიდანეობის განახლებას. მაგრამ ხსენებულ კორპორაციას არ დასცალდა თავის დადგენილებათა თანახმად მოქმედება, ვინაიდგან სიეზდის დასრულების მესამე დღესვე გაჩნდა კრილოვი თავის ზარბაზნებით! ნათქვამია: „ძროხამ იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და სულ მთლიანი

დალვარაო"—სწორედ ავრე მოუვიდათ სოფლის მასწავლებლებსაც. დადგა თუ არა რეაქცია, ბევრი ჩვენი ამხანაგები კისრის ტეხით გარბოდენ ინსპექტორ-დირექტორებისაკენ, და არამც თუ კორპორაცია გაახსენდათ, არამედ უბრალო მოქალაქობრივ პატიოსნებასაც კი უღალატეს მით, რომ ურთი-ერთს ადგილზე დაეცილენ. მე ვიცი გურიიდან მაგალითი, როდესაც საზოგადოების მიერ მოწვეულ მასწავლებელს დაეცილა მეორე მასწავლებელი, იშოვნა ინსპექტორიდგან სანქცია და ჩადგა ადგილში, რასაც შედეგად მოყვა პირველის უადგილოდ დარჩენა, შემდეგ მისი მთავრობისაგან დატუსაღება, ვინაიდგან ის ქალაქის მცხოვრები იყო და ყოველდღე მას თვალში ეჩხირებოდა და რამოდენიმე თვის ციხეში ჯდომის შემდეგ მისი მთლად გამორიცხვა. რას უნდა მივაწეროთ მასწავლებელთა დიდი ნაწილის ასეთი ზნეობრივი დაცემა? ჩემის აზრით, ამისი პირველი და თავი მიზეზი არის მტკიცე პროფესიონალური კავშირის უქონლობა. და რომ შემდეგში ასეთი არა-სასურველი მოვლენა ჩვენ შორის აღარ განმეორდეს, ამიტომაც მთელი ჩვენი ყურადღება სწორედ ამ მხარეზე უნდა იქმნას მიქცეული. მით უმეტეს დღეს, როდესაც პროფესიონალური კავშირების საჭიროებას თვით ქვებიც ღაღადებენ, სირცხვილი არის, რომ ჩვენ, მასწავლებლები, რომლის პროფესია თავის დანიშნულების სიდიადით ბევრათ მაღლა სდგას სხვა პროფესიებზე, პროფესიონალურად არ ვიყოთ შეკავშირებული. ამის ინიციატივა უკვე იკისრეს გურიის მასწავლებლებმა *), რომლებმაც უკვე შეკრეს სამაზრო კორპორაცია. სასურველია მათ სხვა მაზრებიც წაბაძავდენ, რის შემდეგაც ჩვენ შეძლება გვექნება შევადგინოთ საგუბერნიო და აგრეთვე საოლქო კავშირები. ჩვენ, გურიის მასწავლებლები მოუწოდებთ ყველა ჩვენ ამხანაგებს ამ გვარ კავშირისაკენ, რისთვისაც საჭირო არის დაუყონებლივ ადგილობრივათ შეკავშირება. გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ გვარ კავშირით შევსძლებთ სწავლა-აზრდის არა-ნორმალურ პირობებთან ნაყოფიერ ბრძოლას და მის სასურველ ნიადაგზე დაყენებას. და ეს რაც უფრო ჩქარა მოხდება, მით უფრო სასურველია, ვინაიდგან დღეს, დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრების აჩქარებულ მაჯის ცემაში, თვითეული წამი თვითეულ თვეს უდრის. დასასრულ, ერთი შენიშვნა. კორპორაცია უნდა იქნას უპარტიო და ინტერნაციონალური, ის უნდა ემსახურებოდეს წმინდა პროფესიონალურ მიზანს და მასში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ პოლიტიკას, რაც გურიის მასწავლებლებმა მეორე სიეზდზე სავსებით მიიღეს.

უ. ბზვანელი.

*) ამის შესახებ იხილეთ ჩემი წერილი ლამპრის ერთ-ერთი ნომერი ივნისის შუა რიცხვებში შემდეგი სათაურით: „გურიის სახალხო მასწავლებელთა სიეზდი ჰსევდ. „ვენერა" უ. ბ.

ახალი ამბები.

❋❋❋ ქარგლებმა და შეგირდებმა მეუნაგრეებს გაფიცვა გამოუცხადეს. გაფიცვა გრძელდება.

❋❋❋ არქიელის გორაზედ დატყვევებული ამხანაგები (იხ. ახალი ამბები № 8) გაანთავისუფლეს.

❋❋❋ გოჩა-ჯიხაიშში, როგორც გადმოგვცეს მთავრობის ნებართვით გაუმართავთ წარმოდგენა. წარმოდგენიდან შემოსული ფული ადგილობრივ სკოლისთვის მოუხმარებიათ.

❋❋❋ მომავალ კვირისათვის ხონში დანიშნული წარმოდგენა ადგილობრივ დაბანაკებულ ჯარის აფიცრის განკარგულებით გადაიდო.

როგორც გადმოგვცეს დასავლეთ იმერეთში გუშინ კოკის-პირული წვიმა ყოფილა. წვიმას ძალზედ გაუფუჭებია ჭირნახული.

❋❋❋ სვანეთში, ერთი სვანის ცნობით, სვანეთში მოსახლე წერეთლის სახლი გადაუწვავს ჯარს.

❋❋❋ 17 ივლისს საღამოს 7 საათზედ მოკლეს ჩვენი საუკეთესო ამხ. აბრამ (იცკა) რიჟინაშვილი.

❋❋❋ როგორც ადგილობრივ საპყრობილედან გვატყობინებენ, თურმე იქ 16 ივლისს დიდი მღელვარება და შიშიანობა ყოფილა ღამის 2 საათზე; ციხის ზედამხედველი მთელი თავისი ამალით სცემდა და აბიაბრუებდა თურმე ტუსაღებს. მიზეზი ის ყოფილა, რომ რამდენიმე ტუსაღს განუზრახავს ხვრელის გათხრა, რაც შეუნიშნავს დარაჯს და უცნობებია ციხის ზედამხედველისთვის. შვიდიოდე კაცი თურმე სასიკვდილოთაა გალახული, სხვათა შორის პოლიტიკურებიც არიან ნაცემი.

❋❋❋ როგორც ფოთიდან გვატყობინებენ, კვირას 16 ივლისს იქ ჩასულა ვიღაც აფიცერი ოთხი-ხუთი კაზაკით; როცა აფიცერი მოშორდა კაზაკებს, მათ უსარგებლია და თავს დასხმია ადგილობრივ მეფურნეს, რომლისთვისაც წაურთმევიათ 70 მან., იმ საღამოსვე პოლიციას დაუჭერია ოთხი კაზაკი და ადგილობრივ ციხეში დაუტუსაღებიათ.

❋❋❋ როგორც ქიათურიდან გვატყობინებენ, იქ თურმე 16 ივლისს რკინის გზის სადგურზე შავი ქვით დატვირთულ ვაგონებ ქვეშ მოყვა იქაური რკ. გზ. მოსამსახურე სოფ. ხრეითში მცხოვრები არჩილ სამაკაშვილი, რომელიც მაშინვე გამოიყვანეს მუშებმა, მაგრამ იგი იმდენად დაშავებული აღმოჩნდა, რომ საავათმყოფოში წაყვანის დროს გზაში გარდაიცვალა.

პარტიის ცხოვრებიდან.

29 ივნისს მოხდა ხონის რაიონის პარტიის წევრთა პარტიული კრება, რ. ს.-დ. მ. პ. კრების უმთავრესი მიზანი იყო ახალი ორგანიზაციის არჩევა და კიდევაც აირჩიეს. მეორე დღიდანვე, ამ არჩევნებს მოყვა „ინტელლიგენტების" ერთი ჯგუფისაგან პროტესტები. ბოლოს ამ უსაქმო „ინტელლიგენტებმა" მოტყუილებითა და სხ. ამ გვარ საშვალებით 29 ივნისის კრება, რომელიც იმ დღეს იყო აღიარებული კანონიურად, უკანონოთ მონათლეს. რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ, მართლა უკანონო იყო არჩევნები? არა, არჩევნები კანონიერად წარმოებდა, კრებაც კანონიერი იყო, მხოლოდ მიზეზი ის იყო, რომ ხონის უსაქმო, ბულვარის მტკეპნელი „ინტელლიგენტების" კანდიდატები არ იქმნა არჩეული. ამაზე გაბრაზებულებმა. პროტესტი განაცხადეს, რომ არჩევნები უკანონოთ წარმოებდაო და კიდევაც ყოველნაირ საშუალებას ეძებდენ ოღონდ კი ის არჩევნები უკანონოთ ეცნოთ და ჩაეფუშათ; მათ კიდევაც მიაღწიეს მიზანს. გამოიტანეს ახალი ორგანიზაციის საწინააღმდეგო რეზოლიუცია და გამართეს ხელის მოწერა, რაზედაც სხვა და სხვანაირი ხრიკებით და მოტყუილებით ქუჩებში აწერინებდენ ხელს პარტიის წევრებს. (ბევრს არა პარტიის წევრებსაც მოაწერინეს ხელი). რომ მოსპობილიყო და გათავებულიყო ხონში ეს კინკლაობა, რომელიც ძლიერ აფერხებს პარტიულ მუშაობას, ამისათვის ამხანაგებმა დათანახმდენ ხელახლავ პარტიული კრების მოწვევაზე და ახალ არჩევნებზე. სანამ პარტიულ კრებას მოიწვევდენ და ახალ ორგანიზაციას აირჩევდენ, მანამდი არჩეულ იქმნა დროებით ბიურო, რომელსაც უნდა მოეწყო ეს საქმე და აგრეთვე გაძღოლოდა პარტიულ მუშაობას. 13 ივლისს მოხდა ამ დროებით ბიუროს კრება დაესწრენ თითქმის ყველა სოფლის წარმომადგენლები. კრების მიზანი იყო გადაწყვეტა იმისი, თუ როდისთვის მოეწვიათ პარტიული კრება. ერთმა ამხანაგმა შემოიტანა ამ ნაირი წინადადება: „მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ არჩევნებზედაც განმეორდება ის, რაც მოხდა წარსულ 29 ივნისის არჩევნებზე. ჩემი ფიქრით, ჯერ უმჯობესია პარტია გავწმინდოთ, რადგანაც პარტიაში ამოუყვია თავი ისეთებს, რომლებსაც ბრალდებათ ბევრი რაღაც ხულიგანური მოქმედებები, და შემდეგ ნამდვილ, ჭეშმარიტ პარიის წევრებისაგან იქმნას არჩეული ახალი ორგანიზაცია". ამაზე ყველა ამხანაგებმა ერთხმათ დაეთანხმენ და გადაწყვიტეს: პარტიის არა კეთილ საიმედო პირებისგან გაწმენდა და ნამდვილ პატიოსანი მუშაკი წევრების დატოვება. ვის უნდა ეკისრა ეს ძნელი საქმე? დიდი ხნის კამათის შემდეგ გადაწყვიტეს, მიმართონ ქუთაისის კომიტეტს, რომ მან გადაარჩიოს პარტიის წევრები, და შემდეგ მოიწვიოს ნამდვილი პარტიის წევრთა კრება, საიდგანაც იქნა არჩეული ახალი ორგანიზაციას. მანემდი კი გადაწყვიტეს იმ დროებით ბიუროს დაშლაც და დროებით, ყოველ გვარი პარტიული მუშაობის შეჩერება. აგრეთვე წინადადება მისცეს იმათ, (რომლებსაც ებარათ ორგანიზაციის ქონება) შეაჩერონ პარტიის ქონებით მოქმედება. ეხლა საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარებით მოაწყოს ეს საქმე ქუთ. კომიტ., რომ პარტიული მუშაობა არ შეფერდეს. მიუხედავათ იმისა, რომ ამხანგებმა გადაწყვიტეს, ახალ ორგ. არჩევამდის შეჩერებულ იქმნას პარტიის ქონებით მოქმედება, ზოგი ერთი ჩვენი უსაქმო „ინტელლიგენტები" მაინც აპირებენ რაღაც „ხალამოების" გამართვას პარტიის სახელით. ვიმეორებ სანამ ახალი ორგ. დაარსდებოდეს [illegible] შეჩერებული უნდა [illegible] ნიზაციის სახელით ყოველ გვარი მოქმედება, მაშასადამე არც უფლება აქვთ მათ, პარტიის ქონების საშუალებით, „საღამოები" მართონ, და ამით ხალხი შეცდომაში შეიყვანონ.

ადგილობრივი მუშა.

რუსეთი

რუსული გაზეთების აზრით, კავკასიის ნამესტნიკს გრ. ვარანცოვ-დაშკოვს გადაუწყვეტია სამსახურს თავი დაანებოს, ვინაიდგან რევოლიუციონური მოძრაობა თან და თან იზრდება და მას კი ვერავითარი საშვალება ვერ აღმოუჩენია, მის ჩასაქრობათ. („რეჩ.").

—

ციმბირის მცხოვრებნი რომ „კრამოლნიკური" აზრების გავლენიდან დაიფარონ, გუბერნატორებს განკარგულებანი მოუხდენიათ. ციმბირის რკინის გზებზე ყოველ დღე მატარებლებში ჟანდრები პასაჟირებს ჩხრეკენ და თუ ვინმე საეჭვო აღმოჩნდა ატყვევებენ.

—

სოფ. ლებედინში (კიევის გუბერნია) გლეხებს არეულება მოუხდენიათ. გუბერნატორის განკარგულებით გაგზავნილ დრაგუნებს რამდენიმე მოსალაპარაკებლათ გაგზავნილი გლეხი დაუპატიმრებიათ. ეს რომ გლეხებს შეუტყვიათ ფიცხლავ სანადირო თოფებით შეიარაღებულან და დრაგუნებისთვის შეუთვლიათ დაუყონებლივ გაანთავისუფლეთ წინა-დღით დატუსაღებული გლეხებიო. გლეხების ბრბო ეკანომიებისკენ გაემართა. გზაზე შორიდან ურემი დაუნახავთ ოთხი დრაგუნით, რომლებიც მიდორში თივაზე მიდიოდენ. დრაგუნები გლეხების დანახვაზე უკანვე გაქცეულან და ოცი ამხანაგით გლეხებისაკენ გამომგზავრებულან. გლეხების შეიარაღებული ნაწილი დრაგუნების დანახვაზე ბუჩქებში ჩასაფრულა. როდესაც დრაგუნებს გლეხებისთვის ალყა შემოურტყამთ და თოფებიც გაუსვრიათ, ჩასაფრებულ გლეხებსაც სროლით უპასუხნიათ გლეხებს მოუკლავთ ორი და დაუჭრიათ სამი დრაგუნი. გლეხების მხრით დაჭრილა სამი. ამის შემდეგ დრაგუნებს 6 სახლი დაუწვავთ და მცხოვრებნი ძალზე გაულახავთ.

—

იმ დროს, როდესაც იარაღის ტარება ყველასათვის სასტიკათაა აკრძალული, მემამულე თავადებს თავისუფლათ გადააქვთ თურმე რუსეთში იარაღები და ურიგებენ თავიანთ მცველებს გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველათ. ამას წინათ, მაგ. სარატოვიდან სადგურ პეტროვსკზე გარადავოის ვასილი ტიხონოვს ვაგონიდან დიდი ტვირთი გადმოუთრევინებია, რომლიდანაც ბერდანკების ლულები ჩანდენ. ეს ბერდანკები მას სოფ. აგარევკაში გაუგზავნია იუმატოვის მამულის დასაცავათ. ბერდანებთან დიდძალი პატრონების „ზაპასიც" ყოფილა

—

7 ივლისს პეტერბურგის ს. დ. კომიტეტს პროპაგანდის-აგიტატორების და სხვა პარტიულ მუშებს კრება მოუხდენიათ. კრებას დასწრებია 120 კაცი. კრებას წარუდგინეს ორი რეზოლიუცია-პარტიის დღევანდელ ტაქტიკის შესახებ. პეტერბურგის კომიტეტის რეზოლიუციას (ბოლშევიკებისაა) კარპოვი იცავდა. მეორე რეზოლიუციას (მენშევიკების) კი ალექსანდროვი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ორივე რეზოლიუციებს კენჭი უყარეს პირველ რეზოლიუციას 54 ხმა მოსვლია, მეორეს კი 63 ხმა.

პასუხად ბ. სან-რეას.

„შიკრიკის" მესუთე ნომერში სან-რეა შენიშნავს და მოითხოვს ჩემგან დავუმტკიცო, რომ ბოქაული მიქაშვილი სოც. რევ. ასის თავად ამოირჩიეს. სანამ სან-რეას პირდაპირ პასუხს მივცემდე, მე ძალიან მაინტერესებს შევიტყო, თუ რამ აიძულა ბ. სან-რეა, რომ ეს შეეტყო. როგორც თვითონ ამბობს ის საზოგადოთ დაუმინებელი მტერია ბოქაულების, მაშ ცხადია რომ სან-რეა აიძულა პარტიულმა სიმპატია-დისციპლინამ ახლა პასუხი ადვილი გასაცემია. სან-რეა, როგორც პარტიის დამცველი, დაკმაყოფილდება. თუ მე ვითომდა მოცხებული ჩირქი მოუსწმინდე პარტიას.

მიუხედავათ იმისა რომ მე თვითონ მითხრა მიქაშვილმა სანამ თავის საგმირო საქმეებს გააცნობდა ქვეყანას, რომ მე ქუთაისში ივანოვის ქუჩაზე (მე არ ვიცი არის თუ არა ასეთი ქუჩა ქუთაისში, ან რომელ რაიონშია. ფედკა) სოც. რევ. ასის თავად ამომირჩიესო, მაგრამ შემდეგ მე უარი განვაცხადე ასისთაობაზე, რადგანაც ბოქაულობას ველოდებოდი და ჩემს ადგილს სტუდენტი (სახელი და გვარი არ მახსოვს) ამოირჩიესო. ამას გარდა ხალხშიაც დადის ხმა, რომ ის ასის თავად ამოირჩიეს, ამხანაგმა ალ. მ—მა შემდეგიც მითხრა: „როგორც მეც გადმომცეს მიქაშ. ს. რ. „სამხედრო კომისიის" (თუ რამდენათ არსებობს ასეთი კომისია არ ვიცი. ფედკა) წევრად იყოვო.

ეს საბუთები რასაკვირველია უმნიშვნელოა პარტიის კაცისათვის; მასზე უფრო სამართლიანი საზოგადო მოსაზრება იმოქმედებს და ახლა ამას ვეცდები და ეს რადგანაც სან-რეა პარტიულ ინტერეს კერძო ინტერესზე მაღლა აყენებს, როგორც მოსალოდნელია. მაგალითად ოკტომბერ-ნოემბერის თავისუფლების დროს ყველა პარტიები განაგებდა—ხელმძღვანელობდა პირდაპირ მასას, პარტიას არ ყოლია გაწმენდილი და არჩეული საზოგადოების ფართო წრიდან პარტიის ნამდვილი წევრები. ამისათვის ხშირად ათის და ასის თავად ისეთი კაცები ხდებოდნენ, რომელნიც მაშინ პარტიას ხელს უწყობდნენ... მაგრამ დროება გამოიცვალა, რეაქციის ხუსხი ყველამ იგრძნო, და ზოგი „სანდო პირები" კიდეც გახულიგანდენ. ამის მაგალითს ბევრს გვიჩვენებს ჩვენი ახალი ისტორია. ახლა ვკითხოთ: შერცხვება ამ შემთხვევაში პარტიას? არა იმისათვის რომ პარტია ენდობოდა სუბიექტს, როცა ის პარტიისთვის სასარგებლო იყო, გახულიგანდა თუ არა პარტიაც მის წინაღმდეგ მხედრდება. ასეთივე ბედი სწვევია ბოქ. მიქ. და ეს უფრო თვით მიქ. სირცხვილია ვინემ პარტიის.

მე ვიმედოვნებ ბ. სან-რეა, რომ თქვენი გულწრფელობა და სამართლიანი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება, იმისათვის კი არა ვითომც საკმარისი ფაქტები მოვიყვანე, არა: იმისათვის რომ, თქვენ როგორც პარტიის კაცი, საზოგადო მოსაზრებამ შემლება მომცა პარტიისათვის ჩირქი მომეწმინდა.

ლანჩხ. კორესპ. ფედკა.

პროვინცია,

სვანეთი. 14 ივლისს მთელმა ზემო სვანეთის დეპუტაციამ გაათავეს საქმე შიშკევიჩთან და გამოემშვიდობნენ მას. რა პირობებით შერიგდნენ შიშკევიჩი და სვანები დაწვრილებით ჯერ არ ვიცი და ვეცდები შემდეგში გაცნობოთ, მხოლოთ ეს კი ნამდვილათ გავიგე, რომ ჯარი ზემო-სვანეთში არ მიდის. 15 ივლისს დაბრუნდა უკან და გამოემგზავრა ლეჩხუმისაკენ. ვიცი აგრეთვე, რომ სვანებმა დააკმაყოფილეს რამდენიმე შიშკევიჩის მოთხოვნილებანი, მაგრამ სასტიკი ვარი გამოუცხადეს იარაღის დაყრაზე, მეთაურების გაცემაზე და თავადების დაკმაყოფილებაზე. ზარალი სვანეთში ხალხისათვის ჯარს არაფერი მიუყენებია გარდა იმისა, რაც რომ ორ გადავარდნილ წითელ რაზმელს სახლ-კარი გადუწვეს და ისიც, როგორც გავიგე იმიტომ, რომ სასტიკათ დაუსმენია ეს ორი კაცი შიშკევიჩთან იმ გელოვანს, რომლის ძმაც მოკლეს სვანებმა ამ ცოტა ხნის წინათ. სვანები, რომლებიც დაუჭერიათ იქავე გაანთავისუფლეს თურმე რამოდენიმე თავდებ ქვეშ.

ეგნატე სვანი.

ჭიათურა. (ქართული წარმოდგენა.) აქ შესდგა ადგილობრივი სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელნიც კვირაობით მართავენ წარმოდგენებს, 16 ივლისს ითამაშეს „მათიკო" დრამა 5 მოქ. ცაგარლისა.

ეს პიესა თუმცა ჩვენს სცენაზედ, ახალია, მაგრამ თვით პიესის შინაარსი ახალს არაფერს წარმოადგენს, და დღევანდელ დროშიდ, როდესაც ქუჩებში სამკვდრო-სასიცოცხლო ყიჟინა გაისმის, „მათიკოს"-თანა პიესები ვერ დააკმაყოფილებენ დღევანდელ მაყურებელს. იმედია შემდეგისათვის მაინც დადგამენ თანამედროვე პიესებს. პიესა საზოგადოთ გვარიანათ ჩაატარეს. სცენის მოყვარეთა შორის უმთავრესი ყურადღება მიიქცია ქ-მა იურკიევიჩმა: მან თავიდგან ბოლომდი საუცხოვოთ ჩაატარა წმინდა სიყვარულით გაჟღენთილი „მათიკო"-ს როლი. კნ. წერეთლისა დამსწრე საზოგადოებაზედ მეტს იცინოდა, კარგი იქნება შემდეგისათვის რომ გაასწორებდეს ამ ნაკლს. ქ-ნი წერეთელიც სუსტი იყო თავის როლშიდ; (კნეინა) ბ-მა ტარიელოვმა სინამდვილით დაგვიხატა თავისი როლი (ტეტია). წარმოდგენას იმდენი ხალხი დაესწრო რომ დარბაზშიდ ტევა არ იყო და $^{1}/_{3}$ ნაწილი საზოგადოებისა ფეხზედ იდგა, რის გამო ხშირათ ისეთი ლაპარაკი მოსდიოდათ მაყურებელთ, რომ პიესის მოსმენა გაჭირდა. აქაურ სათეატრო დარბაზშიდ ძლივს თავსდება 250 კაცი, ამ წარმოდგენებს ბევრი ხალხი ესწრება და საჭიროა საზოგადოებამ უფრო დიდი დარბაზი დაიქირავოს ან საკუთარი ააგოს. დამსწრეთა $^{2}/_{3}$ ნაწილი მუშები იყვნენ. დასასრულ უსურვებთ ახალ შემდგარ ჯგუფს მეტ ენერგიას.

ლადო გუბელი.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! თქვენი გაზეთის მეორე ნომერში—ახალ ამბებში არის მოთავსებული ცნობა სოფ. სვირიდგან, ვითომც მე, როგორც სოფლის წურბელების მოთავე დიდ დახმარებას ვუწევდე მღვდლებს სამი წლის დარჩენილ დრამის გადახდევინებაში; ეს ცნობა მე მიმაჩნია სიმართლეს მოკლებულად და ჭეშმარიტების აღსადგენათ ვითხოვ ბ. ცნობის მომწვდენს, თუ მას შესწევს მოქალაქობრივი გამბედაობა, გამომყვეს სამედიატორო სამართალში.

ანტონ სულაქველიძე.

—

ამხანაგო რედაქტორო! როგორც ეტყობა, ბ. ზარდალოვი, ძლიერ გაუბრაზებია ჩემს წერილს და ამისთვის სამედიატორო სამართალში მიწვევს. მე სრული თანახმა ვარ მის წინადადებაზე და ჩემის მხრითაც ვასახელებ მოსამართლეებათ ამხანაგ სერგო რობაქიძეს და პროკოფი დოლიძეს, ვნახოთ რა ფაქტების ძალით სცნობს ჩემს ბრალდებას უსაფუძლოდ.

პეპილო

დეპეშები,

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17—18 ივლისი.

პეტერბურგი. დღის $11^{1}/_{2}$ საათზე კრონვერგის პროსპექტზე სეგელის სტამბაში შევიდა 20 შეიარაღებული ახალგაზდა, დაატყვევეს ყველა იქ მყოფნი და შეუდგნენ ვიბორგში სათათბიროს წევრთა მიერ შემუშავებული მოწოდებების ბეჭდვას; დაბეჭდვას საღამოს 5 ს. მოუნდნენ. დაბეჭდეს 5000 ცალი და წავიდნენ. ვერც ერთი ვერ დაიჭირეს.

იუზოვკა. რუჩენკოვის სამთამადნო საზოგადოების მაღაროების მუშებმა გამართეს მიტინგი. მსჯელობა ჰქონდათ სათათბიროს დათხოვნაზე და მასთან დაკავშირებულ კითხვებზე. მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია შესწყვიტონ მუშაობა; ყველა მაღაროებში. გამოიწვიეს ცხენოსანთა ჯარი.

კოსტრომა. ვიბორგში სათათბიროს წევრთა მიერ შემუშავებული ხალხისადმი მოწოდება აქ ხელთნაწერათ ვრცელდება.

კიევი. „ნადეჟდის კომპანიის" აქაურ განყოფილების საწყობებში დაიჭირეს ერთი ცალი ჯარის კაცთა მიმართ მიმართული სოციალისტ-რევოლიუციონერთა პროკლამაციებისა, ცალის მისაღებად მისულმა მოასწრო დამალვა.

მოსკოვი. ვიბორგში სათათბიროს წევრთა მიერ გამოცემულ მოწოდების გამო გუბერნატორი აფთხილებს მცხოვრებს ნუ აყვებით ვიბორგის დეპუტატების მოწოდებას, რადგან ეს მოწოდება მიმართულია მეფის წმიდა უფლების წინააღმდეგ, ჩვენ უნდა დავეხმაროთ მეფეს შეუმსუბუქდეს მძიმე საქმე, დავემორჩილოთ მას და მოთმინებით ველოდეთ კანონის შეუხრელად ასრულებას.

ვარშავა. „ვარშავსკი დნევნიკმა" 15—17 ივლისამდე ცხრა შემთხვევა აღნიშნა სახაზინო-დუქნების გაძარცვისა და აკლებისა.

თეირანი. (რეიტერის სააგენტო). დიდმა ვეზირმა თავი დაანება სამსახურს.

ვოლკოვიშკი. მოკლეს ცნობილი ქურდი ორხიკონისი, მკვლელები მიიმალნენ.

თბილისი. როგორც შუშიდგან მოსულ კანტი კუნტი ცნობებიდგან სჩანს შუშაში საქმე უფრო გამწვავებულა, რადგან გენ. გოლოსჩაპოვმა გამოიწვია მისაშველებლათ კიდევ ერთი მსროლელთა ბატალიონი. როგორც შუშიდგან მოსულ ცნობებიდგან სჩანს შუშის გარშემო მოიყარეს თავი ეულმა თათრებმა და 17 ივლისს თავს დაესხნენ ხუთი ასკერანის სოფელს. შუშიდგან 130 ვერსის მანძილზე თათრებმა ალყა შემოარტყეს ასკერანის ციხეს, სადაც სომხები იმყოფებოდნენ. იმათდა საშველათ ერთი ასეული ყაზახთა ჯარი გაიგზავნა. 15 ივლისს კურდებმა განიზრახეს რა შუშაში შესვლა დაეცნენ ორ სოფელს მაგრამ გენ. გოლოშჩაპოვმა აუტეხა მათ სროლა და მოიგერია. ქ. შუშაში ისევ ცეცხლი ეკიდებოდა ცეცხლის ალი თათრების უბნიდგანაც სჩანდა.

პეტერბურგი. ბურსელის სტამბაში რევოლიუციონერებმა დაბეჭდეს ვიბორგში გამოცემული მანიფესტი. გაიტაცეს მოწოდების 15,0000 ცალი კი არა, როგორც გუშინდელ დეპეშებში იყო ნათქვამი, არამედ 5915 ცალი.

სათათბიროს ყოფილ წევრის მღვდლის პოიარკოვის დაპატიმრება ოფიციალურათ არ მართლდება.

სამარა. გლეხებმა აიკლეს და დაარბიეს კაშკარევის, კრასიკოვის და ნეკლიუტენის მამულები ნიკოლაევის მაზრაში; დასწვეს 90 ზვინი თივა.

ვიატკა. დაიჭირეს გაზეთი „ვიატსკი ჟიზნის" ნომრები ვიბორგში სათათბიროს წევრთა მიერ გამოთქმული ხალხისადმი მოწოდების დაბეჭდისათვის, გაჩხრიკეს სტამბა, რედაქტორი მისცეს სამართალში. სტამბა დახურეს და დაბეჭდეს ერთი თვის ვადით.

გროდნო. ბრესტლიტოვსკში გაიფიცნენ პურის მცხობელნი.

იუზოვკა. დაატუსაღეს პოტიომკინიდან გაქცეული მატროსი დიმიტრი ციგანკოვი.

ვარშავა. შუაღამეზე რამოდენიმე შეიარაღებული კაცი შევარდა პავლინის სახლში და დაუწყო სროლა იმ სახლში მყოფ სტუმარს მილდიკს, ახლად გამოღვიძებულმა მილდიკმა მესამე სართულიდგან ფანჯარაში გადახტა და დაიმტვრა. ბოროტგამზრახველებმა ჩაირბინეს ეზოში, დაუშინეს ტყვიები ისედაც დამტვრეულს მილდიკს მოკლეს აგრეთვე მილდიკის ცოლიც.

კოვნო. გაიფიცნენ კონკაზე მომუშავენი, მოთხოვნილება ეკონომიურია.

კოსტრომა. სოფ. პოკროვსკში ზოგიერთ გლეხებმა განიზრახეს ეკლესიების გაძარცვა, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ. ჩაუარათ.

რედაქტორ-გამომცემელი

ალ. გ. რუხაძე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა—ქუთაისში